სპეციალური **შეთავაზება**

გამარჯობა,

თიბისი კონცეპტის შეთავაზების ფარგლებში, შესაძლებლობა გაქვთ შეიძინოთ შპს „ავსტრიან ჯორჯიან დეველოპმენტის“ („კომპანია“, „ემიტენტი“) ქონებით **უზრუნველყოფილი** ობლიგაციები. კომპანია გეგმავს **15 მილიონ აშშ დოლარამდე 2-წლიანი, უზრუნველყოფილი** საჯარო ობლიგაციების[1] ემისიას, რომლის დაშვებაც საქართველოს საფონდო ბირჟაზე მოხდება.

კომპანია ფლობს და მართავს სვანეთში, სოფელ ლახამში, მდინარის მოდინებაზე მყოფ 2 **ჰიდროელექტროსადგურს** დადგმული სიმძლავრით **15.9 მგვტ.**

შეთავაზება მოიცავს შემდეგ პირობებს:

- შესყიდვის მინიმალური მოცულობა - **1,000 აშშ დოლარი (1 ობლიგაცია)**;
- უზრუნველყოფა - **კომპანიის უძრავი და მოძრავი ქონებ**ა;
- მოსალოდნელი საპროცენტო განაკვეთის დიაპაზონი (კუპონი) - **წლიური ფიქს. 8.50-9.00%**;
- ვადა - **2 წელი**, გამოსყიდვის (call) უფლებით 12 თვის შემდეგ;
- სარგებლის (კუპონის) გადახდა - **ნახევარწლიური**;
- ემისია გათავისუფლებულია გადასახადებისგან

ემიტენტი Caucasus Clean Energy Holdings Pte. LTD -ის („ჰოლდინგი“) შვილობილი კომპანიაა. ჰოლდინგის ინვესტორებს წარმოადგენენ, GEEREF (ენერგოეფექტურობისა და განახლებადი ენერგიის გლობალური ფონდი), FMO (ნიდერლანდების განვითარების ბანკი), OeEB (ავსტრიის განვითარების ბანკი) და სხვა ინსტიტუციური ინვესტორები.

წლის მანძილზე 8 თვის განმავლობაში კომპანიის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის **გარანტირებული მყიდველია** სახელმწიფო - „გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულების“ (**PPA**) საფუძველზე, ხოლო დანარჩენ თვეებში კომპანია ელექტროენერგიას ყიდის ადგილობრივ ან საექსპორტო ბაზრებზე. PPA სახელმწიფოსთან გაფორმებულია 2030 წლამდე და სრულად ფარავს ობლიგაციის ვადას. 2022 წელს კომპანიამ შემოსავლების 50.6% სწორედ PPA-ის ფარგლებში ელექტროენერგიის რეალიზაციიდან დააგენერირა.

ობლიგაციის შესაძენად ან დამატებითი ინფორმაციის მისაღებად, გთხოვთ, მიმართოთ თქვენს პირად ბანკირს არაუგვიანეს **2023 წლის 10 ოქტომბრისა**.

ობლიგაციების გამოშვების თარიღია 2023 წლის 16 ოქტომბერი და საბოლოო კუპონის განაკვეთი დადგინდება book-building-ის შედეგად.

შეთავაზების შესახებ დეტალური ინფორმაციისთვის გადადით ბმულზე.

---

[1]ობლიგაციების განთავსების პროცესში უპირატესობა მიენიჭებათ იმ ინვესტორებს, რომლებიც განაცხადებენ ინტერესს შედარებით დაბალ საპროცენტო სარგებელზე (კუპონზე)

მნიშვნელოვანი ინფორმაცია

ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის ინვესტიცია არის რისკის შემცველი. გთხოვთ, დამატებით გაითვალისწინოთ, რომ ნებისმიერი კომპანიის ან/და ფინანსური ინსტრუმენტის წარსული შედეგები, ეფექტურობა ან მიღწევები შესაძლოა მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს სამომავლო შედეგებისგან, ეფექტურობისგან ან მიღწევებისაგან. შესაბამისად, ინვესტიციის განხორციელებამდე ნებისმიერ პოტენციურ ინვესტორს მოეთხოვება ჩაატაროს დამოუკიდებელი კვლევა და დეტალურად შეაფასოს პროსპექტი ან/და მასთან დაკავშირებული მასალები. ნებისმიერი გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას პოტენციური ინვესტორის პირადი შეხედულებითა და დისკრეციით, მისი საინვესტიციო მიზნებიდან და ფინანსური მდგომარეობიდან გამომდინარე.

წინამდებარე ელექტრონული კომუნიკაცია მიმართული ან განზრახული არ არის, პირდაპირ ან ირიბად, გავრცელებისთვის ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციისთვის ან მათ მიერ, რომლებიც იმყოფებიან ისეთ იურისდიქციაში, სადაც ამგვარი გავრცელება, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება იქნებოდა კანონ საწინააღმდეგო ან/და პროსპექტთან შეუსაბამო ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას, ლიცენზირებას ან ნებართვის აღებას ამგვარ იურისდიქციაში. ნებისმიერი პირი, რომელიც არ არის შესაბამისობაში ზემოთ მოყვანილ შეზღუდვებთან, არ არის უფლებამოსილი დაეყრდნოს ან იმოქმედოს ამ ელექტრონული კომუნიკაციის შესაბამისად.